გრიგოლ სურამელი

ავტორი: მიხეილ ბახტაძე

სურამელები XII-XIII საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საგვარეულო იყო, რომელიც თამარის მეფობის დროიდან უცვლელად ფლობდა ქართლის ერისთავობას. სურამი მათი მამული იყო და საგვარეულოს სახელწოდებაც აქედან მომდინარეობდა. სურამელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შორის კი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი გრიგოლი იყო.

იგი 1242 წლის ახლო ხანებში უკვე ერისთავად

სურამი



ცოტნე დადიანი

მოიხსენიება. როდესაც რუსუდანი მონღოლებს დაუზავდა და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა, შეგებებულთა შორის სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელიც იყო.

რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მონღოლებმა საქართველოში არსებული უმეფობით ისარგებლეს და ქვეყანა დუმნებად დაყვეს. მათ გრიგოლი დუმნისთავად დანიშნეს. გრიგოლის გამგებლობაში მოქცეული დუმანი ტერიტორიულად შიდა ქართლს მოიცავდა და თითქმის ემთხვეოდა ქართლის საერისთავოს ტერიტორიას.

ქართლის ერისთავობასთან ერთად გრიგოლი მსახურთუხუცესის მაღალ თანამდებობასაც ფლობდა. ამ თანამდებობით მოიხსენიება იგი შიომღვიმის მონასტრის კრებულის დაწერილში. საინტერესოა, რომ ამავე საბუთში გრიგოლი მოიხსენიება ეპითეტით – დიდი. „ესე ვითა წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა მემღუიმეს და სხუათა ძმათა დიდის მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელის და მისთა მომავალთათუის სალოცავად საუკუნოდ დაწერილი ესე დაუწერია“. დიდი მსახურთუხუცესის თანამდებობა არ არსებობდა. ცხადია, რომ ეპითეტი დიდი ეკუთვნის პირადად გრიგოლს და მისი დიდი გავლენისა და ავტორიტეტის მანიშნებელი უნდა იყოს. გრიგოლ სურამელის წინაპრებიდან არავინ მოიხსენიებოდა მსახურთუხუცესობით. მისი მამა და პაპა მხოლოდ ერისთავთ-ერისთავებად და ქართლის ერისთავებად იწოდებოდნენ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ გრიგოლი პირველი იყო სურამელთა საგვარეულოში, რომელმაც მსახურთუხუცესის მაღალი თანამდებობა მიიღო და თავის საგვარეულოში დაამკვიდრა. გრიგოლის შემდეგ მისი მემკვიდრეები ასევე ფლობდნენ მსახურთუხუცესის „ხელს“.

გრიგოლ სურამელი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XIII საუკუნის 40-50-იანი წლების საქართველოს ცხოვრებაში. მართალია, ჟამთააღმწერელი გრიგოლ სურამელს არ ასახელებს კოხტისთავს შეკრებილ დიდებულთა შორის, მაგრამ ქართლის ერისთავი აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას შეთქმულებაში. მემატიანე ზოგადად ჩამოთვლის – „ჰერ-კახნი, ქართველნი, მესხნი და ტაოელნი“. „ქართველნი“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართლელებს გულისხმობს. საინტერესოა, რომ ლაშქრის შეკრების ადგილად ქართლი დათქვეს – „დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა“. ძნელი წარმოსადგენია, რომ შეთქმულებს ქართლი აერჩიათ შეკრების ადგილად და ამ დროს ქართლის ერისთავი შეთქმულების მონაწილე არ ყოფილიყო. ალბათ გრიგოლიც, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, ტყვედ ჩაუვარდა მონღოლებს. სხვებთან ერთად გრიგოლიც ანისში წაიყვანეს, მასაც ტანზე თაფლი წაუსვეს და მოედანზე დააგდეს თაკარა მზის ქვეშ. ქართლის ერისთავის სიცოცხლეც ცოტნე დადიანის ვაჟკაცურმა საქციელმა იხსნა.

XIII საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში შექმნილი ვითარებით, კერძოდ კი მეფის არარსებობით, ეგარსლან ბაკურციხელმა ისარგებლა და დიდებულთა შორის პირველობის მოპოვებას შეეცადა. მისმა მოწინააღმდეგე ფეოდალებმა გადაწყვიტეს მეფობის ახალი კანდიდატი, დავით ლაშა-გიორგის ძე, ჩამოეყვანათ საქართველოში. ამ ჯგუფში შედიოდა გრიგოლ სურამელიც. როდესაც დავით ლაშა-გიორგის ძე რუმიდან საქართველოში დაბრუნდა, სხვებთან ერთად მას ქართლის ერისთავიც დახვდა. საინტერესოა, რომ ამ დროს გრიგოლის ძე ბეგა დავით რუსუდანის ძესთან ერთად საყაენოში იყო წასული.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში ქართველებს ხშირად უხდებოდათ დამპყრობთა ბრძანებით სალაშქროდ წასვლა. სად არ ომობდნენ ქართველები ამ დროს – ერაყსა და სირიაში, ეგვიპტესა და ირანში. გრიგოლსაც რამდენჯერმე მოუწია სალაშქროდ წასვლა. აკი თავადაც

დავით ლაშა-გიორგის ძე (უღუ)

აღნიშნავდა ამ ფაქტს, როცა წერდა: „მე გრიგოლ ქართლის ერისთავი, მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათვის“.

XIII საუკუნის 50-იან წლებში მონღოლებმა ალყა შემოარტყეს ისმალიტთა (ევროპელები მათ ასასინებს ეძახდნენ, ქართველები კი მულიდებს) მთავარ ციხეს ალამუთს. მრავალნი ცდილობდნენ ამ ციხე-სიმაგრის აღებას, მაგრამ ალამუთი შეუვალი იყო საუკუნეების მანძილზე. აი, ახლა მონღოლები იდგნენ ალამუთის კედლებთან და მათთან ერთად ქართველი მეომრებიც მონაწილეობდნენ ციხის ალყაში (ქართველთა ჯარი ორ ნაწილად იყოფოდა – ერთ წელს ერთი ნაწილი ომობდა, მეორე წელს – მეორე).

დავით რუსუდანის ძე (ნარინი)



ალამუთის ციხე-სიმაგრე

სწორედ ალამუთის ალყის დროს მოხდა ამბავი, რომელის შესახებაც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: ერთ დილასაც მონღოლებმა თავისი ერთ-ერთი სარდალი, ჩაღატა ნოინი, კარავში მოკლული ნახეს. მონღოლებმა ეჭვი თავიდანვე ქართველებზე მიიტანეს, „ვინათგან ქართველნი დიდსა შინა ჭირსა არიან ჩვენ მონღოლთაგან, შურით ქართველთა მიერ მოიკლა“. მათ ყური არ ათხოვეს თავიანთი ერთ-ერთი მეთაურის, ჩარმაღან ნოინის, სიტყვებს – ქართველებს წესად არა აქვთ კაცის მალულად მოკვლა და ჩაღატა მათი მოკლული არ იქნებაო – და ქართველთა დასჯა განიზრახეს. ამ ამბავმა ქართველთა ბანაკამდეც მიაღწია. ქართველი სარდლები შეიკრიბნენ და ბჭობა გამართეს, თუ რა ექნათ. გრიგოლ სურამელმა შემდეგი რჩევა მისცა თანამოძმეებს: „არა არს ჟამი ბრძოლისა, რამეთუ მცირე ვართ და უკეთუ ვებრძვით, დიდით მცირემდის მოგვწყვედენ და თუ არ ვებრძვით, ჩვენ წარჩინებულთა ოდენ ვგონებ მოკვდინებად. და უმჯობეს მიჩანს, რათა ჩვენ მოვიკლნეთ და არა ყოველი ესე ძალი. გარნა შევრდომა ღმრთისა ჯერ არს, რამეთუ არავინ არს მხსნელი ჩვენი, თვინიერ იესო ქრისტესი, ძე ღმრთისა და ყოვლადწმიდა მშობელი მისი, მარადის ქალწული მარიამ, რომელი მარადის მცველი არს მოსავთა ძისა მისისათა და უმეტეს ჩვენ ქრისტეანეთა. აწ ყოველთა მუხლი მოიდრიკეთ შევრდომით ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ და რომელთა უწყით, თქვით შესხმა ესე მისი: „მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო“ და შემდგომი“. ქართველები ასეც მოიქცნენ და როდესაც მონღოლები

ქართველთა ბანაკს მიუახლოვდნენ, მათ იხილეს არა საომრად გამზადებული, იარაღასხმული და საჭურველში ჩამჯდარი მხედრობა, არამედ დაჩოქილი ქართველობა, რომელიც გულმხურვალედ ლოცულობდა. სანამ მონღოლები ფიქრობდნენ, თუ რას ნიშნავდა ქართველთა ეს საქციელი და თავადაც ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ, მოულოდნელად ჭაობის მიმდებარე ლელქაშიდან კაცი გამოვიდა, ხმამაღლა დაიძახა: „მან ქუშტად ჩაღატა!“ (მე მოვკალი ჩაღატაო) და უკან შევარდა. მონღოლები დაედევნენ და მალევე შეიპყრეს გაქცეული, რომელიც ციხიდან გამოსული მულიდი აღმოჩნდა. მას საიდუმლო დავალება ჰქონდა, მოეკლა მონღოლთა სარდლები და ერთ-ერთი მათგანი გამოასალმა კიდეც სიცოცხლეს. მონღოლები დაინტერესდნენ, თუ რატომ გამოვიდა დამალული მულიდი თავისი საფრიდან მაშინ, როცა მონღოლებმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მულიდმა განაცხადა, რომ ის თავისი საფრიდან ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც ქართველების ბანაკში ხდებოდა, დაინახა მონღოლთა მხედრობის მოსვლაც. სწორედ ამ დროს ჭაობში მოულოდნელად ქალი გამოჩნდა, მან მულიდს მიმართა: – არა გრცხვენია აქ, საფარში, ჯდომა იმ დროს, როცა შენს ნაცვლად მრავალი უდანაშაულო ადამიანი უნდა დაიღუპოსო. სწორედ მისი სიტყვების შემდეგ მიატოვა მულიდმა თავისი სამალავი და გარეთ გამოვიდა. თავისი თხრობა კი მულიდმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: – როგორც კი დავიძახე, რომ მე მოვკალი ჩაღატა, ის ქალი მაშინვე გაქრაო. ვერ გავიგე, ან საიდან მოვიდა, ან საით წავიდაო. მონღოლებმა მულიდი სიკვდილით დასაჯეს, ქართველებს კი, ცხადია, თავი დაანებეს. ასე იხსნა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ალამუთის ციხესთან ალყად მდგომი ქართველთა მხედრობა.

როდესაც 1260 წელს დავით ულუ აჯანყდა, მას მხარი მხოლოდ სარგის ჯაყელმა დაუჭირა. ხოლო „უმრავლესნი წარვიდეს ყაენს წინაშე: შანშეს ძე ივანე, და გრიგოლ სურამელი, და კახა ერისთავი ახალქალაქისა“. რამ განაპირობა ქართლის ერისთავისა და მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელის პოზიცია, უცნობია. ამას შეიძლება მრავალგვარი ახსნა ჰქონდეს. შესაძლოა, ეს აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულთა საერთო პოზიცია იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალქალაქის ერისთავი კახა თორელი, რომელიც სხვებზე მეტად აქტიურობდა დავით ულუს წინააღმდეგ ბრძოლის დროს, გრიგოლ სურამელის სიძე იყო. მეორე – გრიგოლის ვაჟი ბეგა, რომელსაც მონღოლები სალინბეგას (ანუ კარგ ბეგას) ეძახდნენ, დავით ნარინთან „თანაზრდილი“ იყო. ბეგა თან ახლდა დავით რუსუდანის ძეს ურდოში და აჯანყების მერე დასავლეთ საქართველოშიც კი გადაჰყვა. თუ გავითვალისწინებთ იმ ურთიერთობას, რომელიც დავით რუსუდანის ძესა და დავით გიორგის ძეს შორის იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრიგოლ სურამელისათვის დავით ულუ მაინცდამაინც ახლობელი და მისაღები კანდიდატურა არ უნდა ყოფილიყო.

სარგის ჯაყელი

1260 წლის შემდეგ გრიგოლი წყაროებში აღარ მოიხსენიება. სავარაუდოდ, ის მალევე გარდაიცვალა.